წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №__

2021 წლის __ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში(სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016197; 16/07/2014) და ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი2.

დადგენილება ამოქმედდესგამოქვეყნებისთანავე.

ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომეო ნიჟარაძე

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	შტატის ოდენობა	რანგი	თანამდებ ობრივი სარგო
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	1	პოლიტიკური თანამდებობის პირი	2650
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1750
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1650
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	5	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1650
	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	6	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1100
6	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	I	1500
7	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი**	1	II	1200
8	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**	1	III	1000
9	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**	2	III	900
10	III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება**	2	III	900
11	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი**	1	II	1200
12	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**	1	III	1000
13	III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება**	2	III	900

14	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების უფროსი**	1	II	1300
15	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება**	1	III	1000
16	III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება**	1	III	900
17	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი**	1	II	1200
18	IIკატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ლოჯისტიკის განყოფილება**	1	III	900
19	III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ლოჯისტიკის განყოფილება**	1	III	900
სულ – 35 (პოლიტიკური თანამდებობის პირი – 18, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელე – 17)				

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პოზიციები და თანამდებობრივი სარგოები

პოზიციათა დასახელება	ერთეულის რაოდენობა	სარგო (ლარი)
თავმჯდომარის თანაშემწე	1	1100
მძღოლი	1	900
მძღოლი	1	800
დამლაგებელი	2	500
კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი	1	900
შრომითი უსაფრთხოების სპეციალისტი	1	1000
სულ:	7	

მოამზადა:
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
კომისიის თავმჯდომარე — რომეო ნიჟარაძე

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში(სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებ. გვერდი www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.122.016197; 16/07/2014) და ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი2.

დადგენილება ამოქმედდესგამოქვეყნებისთანავე.

ადრესატი:

რომეო ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49213191**
თარიღი: **15/11/2021**

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ რომეო ნიჟარაძეს

ბატონო რომეო,
როგორც მოგეხსენებათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციების რაოდენობა იყო 7, შესული ცვლილებების შემდეგ კი შტატების რაოდენობაა 5. ბუნებრივია ამ ცვლილებებმა ასახვა უნდა ჰპოვოს საკრებულოს საშტატო ნუსხაში. გარდა აღნიშნულისა, როგორც თქვენთვის ცნობილია, საჯარო სამსახურის რეკომენდაციაა, რომ სტრუქტურული ერთეული არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ 2 თანამშრომლისაგან : უფროსისა და პროფესიული საჯარო მოხელისაგან. სწორედ ამ მიზნით, მიმდინარე წელს მერიამ ორ სტრუქტურულ ერთეულს დაუმატა თითო-თითო შტატი, რაზედაც საკრებულომ მისცა თანხმობა. რაც შეეხება საკრებულოს აპარატს, ორი მეორადი სტრუქტურული ერთეული შედგება ორ-ორი თანამშრომლისაგან. ესენია: იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეული და ლოჯისტიკის განყოფილება. ვინაიდან აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციასთან, შემოვდივარ წინადადებით შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №28 დადგენილებაში და თითოელ მეორად სტრუქტურულ ერთეულს დაემატოს თითო შტატი - მესამე რანგის მესამე კატეგორიის სპეციალისტი. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტურქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მე გახლავართ, შესაბამისად მიზანშეწონილად მიმაჩნია მას ჰქონდეს შემდეგი სახის ფუნქციები:

ა) საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების საკითხებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის მომზადება;

ბ) ყოველდღიური კონტროლი კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თაობაზე;

გ) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საკრებულოს ინტერესების დაცვა საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში;

დ) საკრებულოს თანამდებობის პირებისათვის, წევრებისათვის და მოქალაქეებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა;

ე) საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დასკვნების მომზადება;

ვ) ხელმძღვანელი პირების ცალკეული დავალებების შესრულება.

რაც შეეხება ლოჯისტიკის მეორად სტრუქტურულ ერთეულს, მის ხელმძღვანელთან (ტარიელ ჭეიშვილი) კონსულტაციის შემდეგ, საკრებულოს მიერ თანხმობის შემთხვევაში, ფუნქციები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურების საკითხებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის მომზადება;

ბ) ყოველდღიური კონტროლი კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თაობაზე;

231

გ) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საკრებულოს ინტერესების დაცვა საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში;

დ) საკრებულოს თანამდებობის პირებისათვის, წევრებისათვის და მოქალაქეებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა;

ე) საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დასკვნების მომზადება;

ვ) ხელმძღვანელი პირების ცალკეული დავალებების შესრულება.

წარმოგიდგენთ შესაბამის ცვლილებებს დანართის სახით, გთხოვთ განიხილოთ და უზრუნველყოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გატანა.

გელა თათარაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, 2021 წლის 18 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულების პოზიციებზე დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014წლის 15 ივლისის N 28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.